საია-ს განცხადება ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

საია-ს განცხადება ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

17 მაისი ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა, რომელიც ოფიციალურად აღიარებულია ევროპის პარლამენტისა და მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მიერ.

ლგბტქი თემი ერთ-ერთ ყველაზე გარიყულ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში. COVID-19-ის პანდემიის შედეგად კიდევ უფრო მძიმეა მათი როგორც სოციალური ისე უფლებრივი მდგომარეობა მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში სამართლებრივი დაცვის მექანიზმები გარკვეულ ასპექტებში გააუმჯობესა, კერძოდ 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი Ḍ□□□□□□□□□□□□□□ ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ □□ მთელი რიგი საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროება კვლავაც აქტუალურია.[1]

განსაკუთრებული გამოწვევაა მოქმედი კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელების

საკითხი. კერძოდ, პრობლემად რჩება სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და ჩამდენ პირთა დასჯა. ასევე, ყურადღების მიღმა რჩება ჯანმრთელობის დაცვისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სფეროში არსებული პრობლემები.

ლგბტქი თემის შეკრების თავისუფლების რეალიზების საკითხი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო 2019 წელსაც. კერძოდ, 2019 წელს Ḍ□□□□□□□ პრაიდის □ მიერ ორგანიზებული ღირსების მარშის ჩატარება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 31 მაისს Ḍ□□□□□□□ პრაიდის □ ორგანიზატორებთან გამართული შეხვედრის შემდეგ განცხადება გაავრცელა, რომ *Ạ□□□□□□□□□□□ ადგილებზე და ფორმატით ღონისძიებების ჩატარება, პროცესში ჩართული პირების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, შეუძლებელია...*[2] □ამ ნაბიჯით სახელმწიფომ ფაქტობრივად უარი თქვა მისი პოზიტიური ვალდებულების შესრულებაზე.

ქვიარ ადამიანების დისკრიმინაცია შრომით ბაზარზე ახალი არ არის ქართული რეალობისთვის. ლგბტქი ადამიანები ხშირად გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის მსხვერპლები ხდებიან. შესაბამისად, სამუშაო ადგილზე ნაწილ მათგანს უწევს ორიენტაციისა და იდენტობის დამალვა, რათა თავი აარიდოს დისკრიმინაციას. ნაწილი მათგანი, კი იძულებული ხდება თავი ირჩინოს სექსმუშაკობით[3] და ამით გამოიმუშაოს ფინანსები. პანდემიის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ მათ საარსებო წყაროსა და კეთილდღეობაზე მკვეთრი ზემოქმედება მოახდინა, რამაც თემის მოწყვლადობა და გარიყულობა კიდევ ერთხელ გამოაჩინა.

სახელმწიფოს მხრიდან Covid-19 -ის პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში დაგეგმილმა ღონისძიებებმა აჩვენა, რომ ლგბტქი პირების საჭიროებების გათვალისწინება არ მომხდარა ან მოხდა ფრაგმენტულად, რამაც ქვიარ ადამიანები ჩააყენა მძიმე, ფინანსურად არასტაბილურ მდგომარეობაში. გამომდინარე იქედან, რომ ნაწილი მათგანი თვითდასაქმებით ირჩენს თავს, სახელმწიფოს მხრიდან პანდემიის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის გასაცემი კომპენსაციის გეგმაში ლგბტქი პირები ვერ მოხვდნენ. შესაბამისად, შემოსავლის გარეშე დარჩენილი პირები, საცხოვრებელი ადგილის დაკარგვის რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ[4]. ამასთანავე, ქვეყანაში არ არსებობს ლგბტქი ადამიანებზე მორგებული სერვისები და პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს დისკრიმინაციის მსხვერპლთა უკეთ დაცვასა და რეაბილიტაციას, რაც კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში.

პანდემიის დროს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო სერვისების მიუწვდომლობა განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის ლგბტქი პირებს, რომლებსაც ქრონიკული

დაავადებების მკურნალობის, ან/და რუტინული სამედიცინო დახმარების საჭიროება გააჩნიათ. მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ქვიარ ადამიანებს კი ნაკლებად აქვთ ფინანსური შესაძლებლობა[5] გადაადგილდნენ სხვა ტიპის ტრანსპორტით.

2020 წლის აპრილში, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი გამოეხმაურა პანდემიის დროს ლგბტქი პირთა მდგომარეობას.[6] კომისრის ოფისის განცხადებით ლგბტქი ადამიანები რეგულარულად ექვემდებარებიან დისკრიმინაციას. COVID-19 პანდემიის დროს კი შეიძლება განსაკუთრებით დაუცველები იყვნენ. ამიტომაც, გაერო მოუწოდებს სახელმწიფოებს აღიარონ, რომ არსებული კრიზისის დროს ლგბტქი ადამიანების მდგომარეობა განსაკუთრებით კრიტიკულია და აუცილებელია პანდემიის მართვის პირობებში გადადგმული ნაბიჯები ითვალისწინებდეს ლგბტქი ადამიანების საჭიროებებს.

შესაბამისად, საია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას:

- გააძლიეროს ძალისხმევა, ლგბტქი პირთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში;

- უზრუნველყოს, ლგბტქი პირებისათვის აუცილებელი სერვისების შემუშავება, მათ შორის პანდემიით გამოწვეული პრობლემების აღმოსაფხვრელად;

- უზრუნველყოს კორონავირუსის პანდემიის შედეგად დაზარალებულთა კომპენსაციისთვის შემუშავებულ გეგმაში ლგბტქი პირებისთვის დახმარების პაკეტი.

- უზრუნველყოს დროებითი საცხოვრებელი ფართით ლგბტქი ადამიანები, რომლებმაც პანდემიის პირობებში საცხოვრებელი დაკარგეს.

1 ??????? ??????????????????? ?? ???????? ???????? ? ??????????????????????????? ?? ???????? ? ??????? ??????????
https://bit.ly/2DUpSaO

2 ??? ??????????. ?????????????? https://bit.ly/2Lxf9Y2

3 TRANSGENDEREXPERIENCESINTHESEXTRADE“,2015,??.5,??????????????????????: https://bit.ly/2WWGDeC

4 ??: https://bit.ly/3dEjVij

5 „???????? ????????????????“ ??????????, 2019, ?????????????? ??? ???????: https://bit.ly/2xZM1FB

"
6
Newsletter „COVID-19 AND THE HUMAN RIGHTS OF LGBTI PEOPLE“ UN, 2020 ??????????????????????: https://bit.ly/3fOsR6r